

# NEWSLETTER #5

იანვარი-ივნისი, 2022



#უკეთესიგანათლებლებისთვის

## 12Q პროექტი - განათლების რეფორმის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი მექანიზმი

პროექტი ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო 12Q (IBRD) ეფუძნება საერთაშორისო სასესხო ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს მთავრობამ გააფორმა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან (IBRD) 2019 წლის 18 ივნისს (სასესხო ხელშეკრულება N8955-GE).

პროექტს, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მუნიციპალური განვითარების ფონდი.

### პროექტი მოიცავს 5 ძირითად კომპონენტს:

1. ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება
2. ზოგადი განათლების საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით
3. უმაღლესი განათლების სფეროში დაფინანსების შესაძლებლობების გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა
4. განათლების მონაცემთა სისტემის განვითარება, დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისა და კოორდინაციის გაძლიერება
5. პროგრამის მართვის, მონიტორინგისა და შეფასებების მხარდაჭერა

პროექტი ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო 12Q (IBRD)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო



ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი –  
საქართველო IQ (IBRD)

Innovation, Inclusion and Quality Project

[WWW.IIQ.GOV.GE](http://WWW.IIQ.GOV.GE)



# ადრეული და სკოლებდელი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება





## ადრეული განათლების სექტორის დიაგნოსტიკური კვლევა

I2Q პროექტი ითვალისწინებს ხარისხიან ადრეულ და სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობას. სიტუაციის შეფასებისა და საჭირო ინტერვენციების განსაზღვრის მიზნით, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, პროექტის ფარგლებში სექტორის მასშტაბური დიაგნოსტიკური კვლევა ჩატარდა.

ადრეული და სკოლამდელი განათლების დიაგნოსტიკური კვლევა ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიამ PPMI ჯგუფი (*JV PPMI Group, UAB/Lithuania*), საერთაშორისო ასოციაცია ISSA-სა (*International Step by Step Association/Netherlands*) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი და ინკლუზიური განათლების ცენტრთან ერთად.

ჩატარებული კვლევის პირველადი მიგნებები, დასკვნები და საწყისი რეკომენდაციები გაზიარებულია ყველა დაინტერესებულ მხარესთან. მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით საკონსულტაციო კომპანიამ საბოლოო ანგარიში 2022 წლის ივნისის ბოლოს წარმოადგინა.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაციების საბოლოო პაკეტის მიხედვით დაიხვეწება ადრეული განათლების ხარისხის მართვის მოდელი, ჩამოყალიბდება მონაცემთა მართვისა და ანგარიშგების სისტემა, განისაზღვრება ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების



ადმინისტრაციულ-პედაგოგთა შესრულებაზე დამოკიდებული ანაზღაურების პოლიტიკა, განახლება და გაუმჯობესდება სასკოლო მზაობის პროგრამები, გამდიდრდება სასწავლო რესურსებით, შესაბამის გადამზადებას გაივლიან პედაგოგები და ხელი შეეწყობა პროგრამების დანერგვას საპილოტე სკოლებში.

მიმდინარე წლის ივლისიდან I2Q პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო კონკურსის საფუძველზე შერჩეული საკონსულტაციო კომპანია მომდევნო სამი წლის განმავლობაში იმუშავებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან სკოლამდელი და ადრეული განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. გათვალისწინებული იქნება დიაგნოსტიკური კვლევის მიგნებები და კონკრეტული რეკომენდაციები.

## ადმინისტრაციულ-პედაგოგთა ანაზღაურების პოლიტიკის განსაზღვრა



I2Q პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების ადმინისტრაციულ-პედაგოგთა შესრულებაზე დაფუძნებული

ანაზღაურების პოლიტიკის განსაზღვრა. აგრეთვე, დადგინდება მათი სერტიფიცირების საჭიროება და სერტიფიცირების განხორციელების გზები.

სასკოლო მზაობის განახლებული პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით შემუშავდება ადმინისტრაციულ-პედაგოგთა მომზადება-გადამზადების ახალი, თანამედროვე პროგრამები, მათ შორის ელექტრონული რესურსები.

შესაბამისად მომზადდება ადმინისტრაციულ-პედაგოგთა კორპუსი, რომლის გამოყენებაც მოხდება სისტემის დონეზე სიახლების დანერგვის ხელშეწყობისათვის.





## მონაცემთა მართვისა და ანგარიშგების სისტემის შემუშავება და დანერგვა



განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შესაბამის უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში ანგარიშგების სისტემის დანერგვისა და განვითარების, ასევე, კომპლექსური ამოცანების შესრულების მიზნით, საკონსულტაციო კომპანია

შეიმუშავებს მონაცემთა სისტემური მართვისა და ანგარიშგების სისტემას, რომელიც ინტეგრირებული იქნება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS). ინსტიტუციურ, ასევე მუნიციპალურ და სისტემურ დონეზე განისაზღვრება სექტორის ფარგლებში შესაგროვებელი საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, ინფორმაციის წყარო და მათი გამომყენებლები, ასევე, ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და კომუნიკაციის გზები და მექანიზმები, პასუხისმგებელი მხარეები, დაინტერესებული მხარეების ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სახის მონაცემებზე და ა.შ.

მსგავსი მიდგომით ხელი შეეწყობა ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას. ამ სისტემის დანერგვისათვის გადამზადდებიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებში არსებული შესაბამისი კადრები.

## ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება და დანერგვის ხელშეწყობა



ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მართვის სისტემის გაძლიერებისა და ქვეყნის მასშტაბით პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, I2Q პროექტის ფარგლებში შერჩეული საკონსულტაციო კომპანია იმუშავებს ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკის შექმნაზე. ასევე, შემუშავდება მისი დანერგვის სისტემა და გრძელვადიანი გამოყენების გეგმა, რომელიც

დაეფუძნება განათლებისა და მეცნიერების 10-წლიან სტრატეგიულ გეგმას და ხელს შეუწყობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სარეფორმო ღონისძიებების განხორციელებას. დოკუმენტში, ასევე, გათვალისწინებული იქნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და თანხვედრაში იქნება ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან. დოკუმენტის შემუშავების საწყის და აქტიურ ეტაპებზე დაინტერესებულ მხარეთა მაქსიმალური ჩართულობა იქნება უზრუნველყოფილი.

საკონსულტაციო კომპანია ასევე შეიმუშავებს ჰოლისტურ, ბავშვზე ორიენტირებული სწავლების ეფექტიანად განხორციელების მიზნით მომზადება/გადამზადების პროგრამებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ამ პროცესშიც იქნება უზრუნველყოფილი.

## სასკოლო მზაობის კონცეპტუალური და ფიზიკური ინტეგრირება დაწყებით განათლებასთან

I2Q პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია სასკოლო მზაობის კონცეპტუალური და ფიზიკური ინტეგრირება დაწყებით განათლებასთან. სკოლების ინფრასტრუქტურაში მოეწყობა სასკოლო მზაობის სივრცეები, განისაზღვრება შესაბამისი ინვენტარი, გადაიხდება სასკოლო მზაობის

პროგრამები განახლებისა და გაუმჯობესების მიზნით. გადაიხდება და განახლდება სტანდარტი, განისაზღვრება შესაბამისი აღჭურვილობა.

სრული პაკეტის პილოტირება განხორციელდება შერჩეულ 150 სკოლაში.



# საბანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ბანათლების ხელშეწყობის მიზნით





## სასკოლო ინფრასტრუქტურისა და ფიზიკური გარემოს სტანდარტების შემუშავება



მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, I2Q პროექტის ფარგლებში მუშავდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული სტანდარტები, რომლებიც გაითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

სტანდარტები დაეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას და მათში გაანალიზებული იქნება ყველა სამუშაო, რომელიც საერთაშორისო დონორების ჩართულობით დღემდე ჩატარებულა ქვეყანაში. ახალი სტანდარტით დარეგულირდება: უსაფრთხოების, სანიტარიის და ჰიგიენის საკითხები, ავეჯის სპეციფიკაციები, ენერგოეფექტურობა, სამშენებლო მასალების უსაფრთხოება/ხარისხი, ელექტრობა, გათბობა, ვენტილაცია, გამწვანება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. საკლასო ოთახების დაგეგმარება და მათში ავეჯის განლაგება მორგებული იქნება სწავლების სხვადასხვა მეთოდის თავისებურებებზე.


სტანდარტებზე მუშაობა აქტიურ ფაზაშია, სამუშაო განხორციელდა რამდენიმე ეტაპად. ამ ეტაპისათვის უკვე შემუშავებულია სტანდარტების პირველი პროექტი, რომელთა განხილვები ივნისის ბოლოს ჩატარდა. საკონსულტაციო კომპანიამ წარმოადგინა მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე

განახლებული დოკუმენტი, რომელიც ამჟამად შეფასების პროცესშია.

სამუშაო ვერსიებს I2Q პროექტის გუნდთან ერთად განიხილავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მისი სტრუქტურული დანაყოფები. შიდა სამუშაოების დასრულების შემდეგ დაგეგმილია სტანდარტების განხილვა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, კომპეტენტური აზრის გასათვალისწინებლად, რადგან სტანდარტი განკუთვნილია ეროვნულ დონეზე სამუშაოდ.

ახალი სტანდარტების შესაბამისად, I2Q პროექტის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, დაგეგმილია 18-მდე სამოდულო სკოლის მშენებლობა. სკოლები შეირჩა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს ინფრასტრუქტურის განვითარების სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით, წინასწარ განსაზღვრული და შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით. მათ შორის, გათვალისწინებულია მაღალმთიანი დასახლებები, გამყოფ ხაზთან მდებარე რაიონები, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ტერიტორიები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები. სამოდულო სკოლების საპროექტო სამუშაოებს განახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. დიზაინის და არქიტექტურული სამუშაოების დასრულება 2023 წლის ზაფხულში იგეგმება.

აღსანიშნავია, რომ ახალი სტანდარტები გაითვალისწინებს ახალ კონცეფციასაც, რომელიც გულისხმობს სასკოლო მზაობისა და დაწყებითი საფეხურის დაკავშირებას როგორც ინფრასტრუქტურულად, ასევე შინაარსობრივად.







ზოგადი განათლების საბანანათლებლო  
ბარემოს გაუმჯობესება  
სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლების მიზნით







## ზოგადი განათლების სისტემის ყოვლისმომცველი დიაგნოსტიკური კვლევა



მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, I2Q პროექტის ფარგლებში ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დასაზუსტებლად ზოგადი განათლების სისტემის ყოვლისმომცველი დიაგნოსტიკური კვლევა ჩატარდა. მრავალკომპონენტიანი კვლევა მოიცავდა სკოლებში არსებული სიტუაციის შეფასებას, განხორციელებული რეფორმების გავლენის დადგენას, განვითარების დინამიკის განსაზღვრას და ტენდენციებს.

კვლევა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიამ „მათემატიკა“ (Mathematica Inc/USA) პოლიტიკისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო ჯგუფთან ერთად (PMCG) განახორციელა. სამუშაოები რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. კვლევის პირველადი დასკვნები და რეკომენდაციები ყველა დაინტერესებულ მხარესთან პერიოდულად ზიარდებოდა.

დიაგნოსტიკური კვლევის მიგნებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების განხილვა, 2022 წლის 29 აპრილის, ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით გაიმართა. მეორე განხილვა ივნისის ბოლოს ჩატარდა.

კომპანია „მათემატიკამ“ ზოგადი განათლების სექტორის დიაგნოსტიკური კვლევის საბოლოო ანგარიში უკვე წარმოადგინა. ანგარიშში მოცემულია სისტემაში არსებული მდგომარეობის სრული ანალიზი 2022-2032 წლების განათლებისა და მეცნიერების ახალი სტრატეგიის ზოგადი განათლების სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით.

### მთლიანი სკოლის გაუმჯობესების მხარდაჭერა

I2Q პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია მთლიანი სკოლის გაუმჯობესების მხარდაჭერა. ამ მიზნით შემუშავებული პროექტის დიზაინი აერთიანებს ზოგადი განათლების რამდენიმე მიმართულებას. ტენდერში - „სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა ზოგად განათლებაში ხარისხის მართვის ეფექტური სისტემის დანერგვის, მთელი სკოლის გაუმჯობესების გეგმებისა და პროგრამების, შეფასების პოლიტიკის, პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის განვითარების გზით“ - გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია აგვისტოდან შეუდგება მუშაობას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: მთლიანი სკოლის გაუმჯობესება, მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება და ეროვნული შეფასების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შემუშავება. ეს პრიორიტეტული მიმართულებები მოიცავს: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სისტემის შემუშავებასა და მექანიზმების განსაზღვრას, მასწავლებლის განათლებისა და პროფესიული



განვითარების პოლიტიკის გადახედვასა და განახლებული სისტემის დანერგვას, სკოლის გაძლიერებაზე ორიენტირებული მიდგომების ჩამოყალიბებას, სკოლის დირექტორთა შერჩევის პოლიტიკის განახლებასა და მექანიზმების დახვეწას. ამ აქტივობების განხორციელება მხარდს დაუჭერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელიც ზოგადი განათლების მიმართულებით მნიშვნელოვან რეფორმას ახორციელებს.



## საჯარო სკოლებისთვის კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა

კოვიდპანდემიით გამოწვეული ვითარების გამო სასწავლო პროცესის დისტანციურ ფორმატზე გადასვლისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ყურადღება განსაკუთრებით გამახვილა ონლაინ სწავლებისთვის საჭირო აღჭურვილობით სკოლების უზრუნველყოფაზე. სამინისტრომ, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, პროექტის „ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი – საქართველო I2Q (IBRD) ფარგლებში, საჯარო სკოლებისთვის კომპიუტერული ტექნიკა – 6350 პორტატული პერსონალური კომპიუტერი და 898 პროექტორი შეიძინა. მოსწავლეებისთვის უწყვეტი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, 3 572 780 აშშ დოლარის ღირებულების კომპიუტერული აღჭურვილობა 433 სკოლას გადაეცა.


ტექნიკა განკუთვნილია პედაგოგებისთვის, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, გამოიყენონ ის როგორც საკლასო ოთახებში, ასევე დისტანციური სწავლების პროცესში. ასევე, შეუფერხებლად აწარმოონ ელექტრონული ჟურნალი.

კომპიუტერული ტექნიკით სკოლების აღჭურვისას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაითვალისწინა ქვეყნის ყველა რეგიონი. ტექნიკის განაწილებისას უპირატესობა მიენიჭა იმ სკოლებს, რომლებშიც აქტიურად მიმდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის




ხელშეწყობა. შერჩევაში გათვალისწინებული იყო სკოლები, რომლებიც უზრუნველყოფილნი არიან ოპტიკური ინტერნეტკავშირითა და დამონტაჟებული Wi-Fi ინფრასტრუქტურით.

## საჯარო სკოლების WI-FI ინფრასტრუქტურით აღჭურვა



მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, I2Q პროექტის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით დამატებით 121 სკოლაში მოეწყო Wi-Fi ინფრასტრუქტურა, რაც მასწავლებლებს და მოსწავლეებს ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესში ისარგებლონ ინტერნეტით და გამოიყენონ ინფორმაციული ტექნოლოგიები.

ინტერნეტთან წვდომით მოსწავლეებს იმ უნარების განვითარების შესაძლებლობა ექნებათ, რომლებიც აუცილებელია 21-ე საუკუნის სამუშაო გარემოში.





## მონაწილეობა TIMSS-ის პროექტის 2023 წლის ციკლში

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, საერთაშორისო მონაწილეობის მიხედვით, საქართველო მონაწილეობას მიიღებს TIMSS-ის პროექტის 2023 წლის ციკლში. I2Q პროექტის ბიუჯეტიდან სრულად დაფინანსდა კვლევაში მონაწილეობა.

TIMSS-ის კვლევაში მონაწილეობის მისაღებად მათემატიკისა და მეცნიერების მიმართულებით წინასწარ შერჩეული სკოლების მე-4 და მე-8 კლასელი მოსწავლეებთან მოსამზადებელი სამუშაოები განხორციელდება.



## საგანმანათლებლო კვლევების განმახორციელებელი ინსტიტუციის შექმნის საჭიროების კვლევა




საქართველოში პედაგოგიკის მიმართულებით კვლევებისა და მისი მეთოდოლოგიის სიმცირე აფერხებს კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ამიტომ, I2Q პროექტის ზოგადი განათლების კომპონენტში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო კვლევების ინსტიტუციის საჭიროების კვლევა. განხორციელდება მიზანშეწონილობის ანალიზი და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები.

## ერთიანი საადრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება

I2Q პროექტის ფარგლებში მუშავდება ერთიანი საადრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მას დაქვემდებარებული ორგანიზაციებისთვის.

საადრიცხვო პოლიტიკის დოკუმენტში დეტალურად იქნება გაწერილი გარკვეული პრინციპების,

საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა. ის ხელს შეუწყობს ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ადრიცხვა-ანგარიშგებისა და ფინანსური რესურსების სწორად და ეფექტურად გამოყენებაში. სამუშაოები აქტიურ ფაზაშია.







# უმაღლესი განათლების დაფინანსების შესაძლებლობების გაუმჯობესება და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა







## უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი, შესრულებაზე დაფუძნებული მოდელის შემუშავება



უმაღლესი განათლების დაფინანსების რეფორმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული საკითხია. უმაღლესი განათლების დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესების მიმართულებით, I2Q პროექტის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, განხორციელდა დიაგნოსტიკური კვლევა - შესრულდა ანალიტიკური სამუშაოები, გაანალიზდა საქართველოში მოქმედი დაფინანსების სისტემა, ასევე, საერთაშორისო პრაქტიკა შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელების მიმართულებით.

მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობით, შემუშავდა ანგარიში, რომელიც ასახავს, მათ შორის, უმაღლესი განათლების დაფინანსების შესაძლო მოდელებსა და ვარიანტებს, სტრატეგიული

მიზნების ჩამონათვალს, შესრულების შესაბამისი ინდიკატორების აღწერას, სამუალოვადიან პერიოდში გადასადგმელი ნაბიჯებისა და რეკომენდაციების ჩამონათვალს.

სამუშაოების მეორე ეტაპზე, პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია სამინისტროს მხარდაჭერა, რათა პირველ ეტაპზე განხორციელებული დიაგნოსტიკური სამუშაოებისა და შეთავაზებული ვარიანტების საფუძველზე, სამინისტრომ განსაზღვროს უმაღლესი განათლების დაფინანსების კონკრეტული ფორმულა.

დაფინანსების ახალი მოდელის ეფექტური აღმინისტრირების მიზნით, შესაბამისი ინფორმაციის დამუშავებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური ეფექტიანობის შესაფასებლად, შეიქმნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა.

ბაზის შესაქმნელად პროექტის ფარგლებში მომზადდა ტექნიკური დავალების პროექტი და გამოცხადდა ტენდერი. ამ ეტაპზე ტენდერით გათვალისწინებული შეფასების პროცედურები მიმდინარეობს. შერჩეული საერთაშორისო კომპანია მომდევნო 2 წლის განმავლობაში, EMIS-სთან თანამშრომლობით შექმნის მონაცემთა ბაზის ერთიან სტრუქტურას.

უმაღლესი განათლების დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილი აქტივობები 2024 წლის ჩათვლით განხორციელდება.

## უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, I2Q პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები ემსახურება ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაძლიერებას საქართველოში უმაღლესი განათლების მიზნების, ფუნქციებისა და მიწოდების ნაწილში. დაგეგმილი სამუშაოები ითვალისწინებს ერთობლივი სადოქტორო პროგრამის შემუშავებას განათლებისა და მეცნიერების მენეჯმენტის მიმართულებით, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლებისათვის ორი ახალი სასწავლო მოდულის - მეწარმეობის მოდულისა და დარგის სპეციფიკაზე მორგებული ინგლისური ენის მოდულის შემუშავებას.

პროექტის ფარგლებში ასევე შეიქმნება საერთაშორისო სკოლა, რომელიც მოკლევადიანი კურსების შეთავაზებით ხელს შეუწყობს საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო თანამშრომლობას, ახალი ცოდნის გენერირებას/გაზიარებასა და შექმნის ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად შერჩეულ სფეროებში სწრაფი განვითარების შესაძლებლობას.

აღნიშნული მიმართულებით, საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით, ტენდერი მიმდინარეა. შერჩეული საკონსულტაციო კომპანიის მიერ შესაბამისი სამუშაოების ჩატარება დაგეგმილია 2022-2025 წლების განმავლობაში.



## კონკურენტული ინოვაციის ფონდის შექმნა

I2Q პროექტის ფარგლებში, შეიქმნა კონკურენტული ინოვაციის ფონდი (CIF) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსებისთვის. კონკურენტული ინოვაციის ფონდიდან შესაძლებელია დაფინანსდნენ როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, აგრეთვე ის კერძო სამართლის იურიდიული პირები – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც კონსორციუმის ფორმით საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად წარმოადგენენ ერთობლივ საგრანტო განაცხადს.

კონკურენტული ინოვაციის ფონდის მართვის სახელმძღვანელო, რომელშიც ასახულია გრანტების გაცემის წესი და პროცედურები, დამტკიცდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ფონდის სტრუქტურული ერთეულების შექმნის პროცესი.

პირველი საგრანტო კონკურსის გამოცხადება დაგეგმილია 2022 წლის ბოლოსათვის, რომლის ფარგლებშიც, დაახლოებით 10 საგრანტო განაცხადი დაფინანსდება. მეორე საგრანტო კონკურსი კი, 2023 წელს გამოცხადდება, რომლის ფარგლებშიც დაახლოებით 30 საგრანტო განაცხადის დაფინანსებაა დაგეგმილი.



საგრანტო დაფინანსების გაცემის გზით, ფონდი ხელს შეუწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო გარემოს მოდერნიზებას. მოცემული გრანტები შესაძლებელია მოიცავდეს, მაგალითად, რეფორმის მიზნებიდან და შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირების ინტერესებიდან გამომდინარე, აქცენტს ინოვაციებზე, კვლევისა და ტექნოლოგიების გაძლიერებაზე; აქცენტს თანამედროვე სწავლებაზე, შესაბამის სასწავლო ტექნოლოგიებსა და მეთოდებზე, მათ შორის დისტანციური სწავლების მეთოდზე.

ფონდის საქმიანობისა და საგრანტო განაცხადების წარმოდგენის პროცედურებთან დაკავშირებით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შესაბამისი საინფორმაციო შეხვედრები 2022 წლის შემოდგომაზე ჩატარდება.

## მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების ხარისხის ამაღლება

I2Q პროექტი ითვალისწინებს მასწავლებლის მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამების ხარისხობრივ გაუმჯობესებას. პირველ ეტაპზე, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, გაანალიზდება უკვე მოქმედი მასწავლებლების მოსამზადებელი საუნივერსიტეტო პროგრამები და შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები მათი ხარისხის გასაუმჯობესებლად. შემდგომ ეტაპზე, შეირჩევა უნივერსიტეტები (რეგიონული კონტექსტის გათვალისწინებით), რომლებიც, მასწავლებლების მოსამზადებელი საუნივერსიტეტო პროგრამების განხორციელებაში საუკეთესო გამოცდილების მქონე საერთაშორისო პარტნიორთან თანამშრომლობით, მათ პროგრამებს მოიყვანენ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში. ამასთან, მოხდება მინიმუმ ერთი უნივერსიტეტის შესაბამისი მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ

საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაცია. მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, პროექტის ფარგლებში, მომზადდება ტრენინგ მოდულები და ჩატარდება შესაბამისი ტრენინგები. ასევე, გაანალიზდება საერთაშორისო გამოცდილება მასწავლებლის პროფესიული განვითარების საკითხზე საუნივერსიტეტო დონეზე და შემუშავდება საჭირო რეკომენდაციები, თანამედროვე სწავლა/სწავლების მეთოდებსა და შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარებაზე აქცენტირებით.

აღნიშნული მიმართულებით, საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით, ტენდერი მიმდინარეა. შერჩეული საკონსულტაციო კომპანიის მიერ შესაბამისი სამუშაოების ჩატარება დაგეგმილია 2022-2025 წლების განმავლობაში.



# განათლების მონაცემთა სისტემის განვითარება, დაინტეგრირება მხარეებთან კომუნიკაციისა და კოორდინაციის გაძლიერება







## განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დიაგნოსტიკური კვლევა



Ventures, H2 Learning (ირლანდია) და Conscience IT (ინდოეთი)) 8 თვის განმავლობაში ახორციელებდა. პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. კვლევის მიგნებებისა და რეკომენდაციების გაზიარების მიზნით საერთაშორისო ექსპერტები დაინტერესებულ მხარეებთან აქტიურად მართავდნენ სამუშაო შეხვედრებსა და განხილვებს.

25 მაისს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში EMIS-ის სადიაგნოსტიკო კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე EdTech Ventures-ის დირექტორმა პიტერ ჰამილტონმა დაინტერესებული მხარეებისთვის წარმოადგინა პრეზენტაცია ციფრული განათლების დაგეგმვისა და EMIS-ის ორგანიზაციის ანალიზის შესახებ. პიტერ ჰამილტონმა ისაუბრა EMIS-ის სისტემების განახლებაზე, eSchool-ის და LMS-ის განვითარებაზე.

დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით კომპანია ივლისის ბოლოს წარმოადგენს კვლევის საბოლოო შედეგებს, ძირითად მიგნებებსა და რეკომენდაციებს. კვლევაზე დაყრდნობით, EMIS-ის გაძლიერების მიზნით, საჭიროებისამებრ განახლება ორგანიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა და ტექნიკური ინფრასტრუქტურა.


გაძლიერებული EMIS საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეფექტურ მართვასა და მონაცემთა ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

I2Q პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) გაძლიერება. აქტივობა ემსახურება მონაცემთა საჭიროებების განსაზღვრას, ინფორმაციის მოგროვებისა და დამუშავების მეთოდების კვლევას, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის დიაგნოსტიკურ შეფასებას, EMIS-ის მუშაობასა და მისი საქმიანობის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრას.

EMIS-ის ყოველისმომცველ სადიაგნოსტიკო კვლევას საერთაშორისო კომპანიათა გაერთიანება (EdTech

EMIS-ის კვლევის ფარგლებში შემუშავდება რეკომენდაციები დიდი მონაცემების (Big Data) მართვისა და მონაცემთა ანალიზის სისტემებისთვის. საკონსულტაციო კომპანია წარმოადგენს გაილაინებს, მათ შორის მონაცემთა მიმოცვლის, მოგროვების, უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკისთვის.

საკონსულტაციო კომპანიამ უკვე წარმოადგინა ორი ტექნიკური დავალება, რომლებიც ეხება LMS-ის განვითარებასა და eSchool-ის განახლებას. 2022 წლის სექტემბერში გამოცხადდება ტენდერები.







## eSchool-ის განახლება და LMS-ის შექმნა

eSchool სწავლა-სწავლების ელექტრონული მართვის პორტალია, რომლის მოძველებული ფუნქციონალი თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს. პორტალს დაემატება სკოლამდელი განათლების მოდულიც და ყველა მონაცემი ერთ ბაზაში გაერთიანდება.

სწავლების მართვისა და მენეჯმენტის სისტემის (LMS) შემუშავება მიზნად ისახავს ელექტრონული პლატფორმისთვის ისეთი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესს მოქნილს გახდის. პლატფორმაზე თავმოყრილი იქნება საგანმანათლებლო რესურსები მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის. ასევე, მშობლებისთვისაც. ელექტრონული პლატფორმა ხელს შეუწყობს სკოლებს,

გამოიყენონ ციფრული რესურსები: გაკვეთილის გეგმები, ვიდეო გაკვეთილები, პრეზენტაციები, საგანმანათლებლო განმავითარებელი თამაშები და სხვადასხვა ელექტრონული მასალა. პორტალი იდეალური იქნება სასწავლო პროცესის წარმატებით სამართავად და შესაძლებელს გახდის მოსწავლეთა პროგრესზე დაკვირვებას.

ამ აქტივობების შედეგად გაუმჯობესდება განათლების სისტემის შესაძლებლობები მონაცემების და ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და მათი გავრცელებისთვის მონიტორინგის, ასევე გადაწყვეტილების მიღების მიზნებისა და ინტერვენციების მიმართულებით, მათ შორის, გენდერული ნიშნით ინფორმაციის დამუშავების ნაწილში.

## ონლაინ ტრენინგ მოდულები მასწავლებლებისთვის

I2Q პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევაზე - „დისტანციური/ონლაინ და შერეული სწავლა-სწავლების აქტუალობა, თანამედროვე პერსპექტივები და გამოწვევები“. კვლევის მიზანი იყო დაედგინა დისტანციური სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგიის შესაძლებლობები.

საკონსულტაციო კომპანიამ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობით მოამზადა ონლაინ ტრენინგ მოდულის ძირითადი მონახაზი და მეთოდოლოგია. ამ ეტაპზე კომპანია მუშაობას აგრძელებს მასწავლებლებისთვის განკუთვნილ ასინქრონულ ონლაინ ტრენინგ მოდულზე.



## კომუნიკაცია დონორებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან



განათლების რეფორმის და, ზოგადად, განათლების სექტორში მიმდინარე სიახლეების შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირებისა და ეფექტიანი კომუნიკაციის წარმოების მიზნით I2Q პროექტის ფარგლებში მუშავდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 5-წლიანი საკომუნიკაციო გეგმა და 2-წლიანი სამოქმედო გეგმა. საკომუნიკაციო სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიზანი განათლების მიმდინარე რეფორმების თითოეული ნაბიჯის კომუნიკაციაა.

მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს კომუნიკაცია დონორ ორგანიზაციებთან. ინფორმაციის გაზიარების მიზნით პერიოდულად ტარდება დონორთა საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრები.

# მიმდინარე ძენდერები



საკონსულტაციო მომსახურება უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისთვის

კონკურენტული ინოვაციების ფონდის განათლების სპეციალისტი – ადგილობრივი კონსულტანტი

კონკურენტული ინოვაციების ფონდის იურიდიული სპეციალისტი – ადგილობრივი კონსულტანტი

